ჯიშის აღწერილობა

ადგილობრივი (აბორიგენული) ჯიში

კულტურა: ხორბალი

სახეობა: მაგარი ხორბალი

ტაქსონის ბოტანიკური სახელწოდება: *Triticum durum* L. (სახეობა)

ჯიშის ადგილობრივი სახელწოდება: შავფხა

გავრცელების არეალი: ქართლი

გამოყენების სახე:
ადგილობრივი მოსახლეობა შავფხასაგან აცხობდა პურს და იყენებდა ტრადიციული კერძების მოსამზადებლად. უპირველესად იყენებდნენ ბურღულად, ასევე საუკეთესოა საკონდიტრო წარმოებისათვის.

არის თუ არა განსაკუთრებული პირობები ჯიშის მოსაყვანად, თუ არის მიუთითეთ რა პირობებია:
ჯიში შავფხა მოვლა-მოყვანისადმი განსაკუთრებულ პირობებს არ მოითხოვს. მაღალი აგროფონის და მორწყვის პირობებში ჯიშს მიდრეკილება აქვს ჩაწოლისადმი

მახასიათებლები ხორბლის ადგილობრივ ჯიშ შავფხასათვის

მცენარის სიმაღლე	მაღალი, 110-140 სმ.
ღერო:	მსხვილი (სურ.1)
თავთავი:	
სიგრძე	6-8 სმ. (სურ.2)
სიმკვრივე	საკმაოდ მკვრივი, სიმწიფის სტადიაში თავთავს ახასიათებს დახრილობა (სურ. 3)
ფორმა პროფილში	ძირითადად ცილინდრული (სურ. 4)
ფხები	შავი, უხეში, თავთავზე გრძელი და თავთავის პარალელურად განლაგებული. (სურ. 5)

თავთუნის კილი	საკმაოდ მსხვილი, წაგრძელებული, მხარი სუსტად გამოსახული, ქედი განიერი, კბილაკი მოკლე და ნისკარტისებრ მოხრილი (სურ. 6, 7)
მარცვალი: ფორმა კონსისტენცია ცვენადობა	 ოვალურ-წაგრძელებული, მსხვილი, 1000 მარცვლის მასა 45-50 გ. (სურ. 8) რქისებრი მარცვალი კილებში მჭიდროდ არის მოთავსებული და არ ახასიათებს ცვენადობა
სეზონურობა	საგაზაფხულოა, მაგრამ ქართლის ზონაში მათი გადაზამთრება დამაკმაყოფილებელია და ამიტომ გვიან შემოდგომით, ზამთრის პირასაც ითესება.

შავფხას ძირითადი სახესხვაობები მათი განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით და ნათესებში გავრცელების ინტენსივობა

სახესხვაობები	ნათესში გავრცელების ინტენსივობა
1. თავთუნი შავი წითელ ფონზე, შებუსვილი, შავი ფხებით, მარცვალი თეთრი	ქართლის შავფხა, ძირითადი სახესხვაობა
2. თავთუნი შავი წითელ ფონზე, შებუსვილი, შავი ფხებით, მარცვალი წითელი	ქართლის შავფხა, ძირითადი სახესხვაობა
3. თავთუნი წითელი, შებუსვილი, შავი ფხებით, მარცვალი თეთრი	ბორჩალოს შავფხა, ძირითადი სახესხვაობა
4. თავთუნი წითელი, შებუსვილი, შავი ფხებით, მარცვალი წითელი	ბორჩალოს შავფხა, ძირითადი სახესხვაობა

დამატებითი ინფორმაცია: შავფხა ხასიათდებოდა დაფქვის მაღალი, ხოლო პურცხობის საშუალო და საშუალოზე დაბალი თვისებით, მაგრამ რბილ ხორბალთან შერევის დროს აუმჯობესებდა მის პურცხობის თვისებას.

სურ. 1

სურ. 2

სურ. 3

სურ. 4

სურ. 5 სურ. 6

სურ. 7 სურ. 8

ლიტერატურა:

1. თავთავიანი პურეულის სარკვევი. მეთოდური დამუშავება.საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, თბილისი, 1991.

2. პ. ნასყიდაშვილი, მ. სიხარულიძე, ე. ჩერნიში. ხორბლის სელექცია საქართველოში. თბილისი 1983.

3. მ. სიხარულიძე, ე. ჩერნიში, პ. ნასყიდაშვილი - მინდვრის კულტურეთა სელექცია და მეთესლეობა, პრაქტიკულ მეცადინეობათა სახელმძღვანელო, თბილისი, 1964.

4. ბ. ჯანელიძე, ვ. გორგოშიძე. საშემოდგომოხორბლის დარაიონებული ჯიშები საქართველოსთვის. თბილისი 1960.